


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭდუ-
რები სიფყაა, ცყდილებით და ჭბბბბით ბუბ-
ბის გაცანა ყველა უჯანბბბბაჯ უსამბბბბისა.

შაბათი, 10 მარტი. 2018 წ. №49 (8450), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



იან კალი: ცხადარი აუსილბლად უნდა დაუბრუნონ მუობლბს!

**როდესაც ხარ ოკუპანტი, უანი წილი პასუხისმგებლობა
გაპისრინა სპარტაშორისო სამართლის მიხედვით...**

— ჩვენ არ ვაღიარებთ ახალ საზღ-
ვრებს და არ ვაღიარებთ საქართველოს
ორი რეგიონის დამოუკიდებლობას. რუ-
სეთს ვუსოდეთ ოკუპანტი და, შესაბა-
მისად, როდესაც ხარ ოკუპანტი, უანი წი-
ლი პასუხისმგებლობა გაკისრია საერ-
თაშორისო სამართლის მიხედვით. არ
არსებობს არანაირი მიზეზი, რის გამოც
შესაძლოა, ტატუნაშვილის ცხედარი გა-
აჩერონ და არ დაუბრუნონ მშობლებს.
ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს

მთავრობას ყველა ძალისხმევაში, გა-
დაჭრას ეს საკითხი.
უკვე შედგა საუბარი სახელმწიფო
მდივნის მოადგილესა და საქართველოს
პრემიერ-მინისტრს შორის, სადაც ხა-
ზი გაესვა ამერიკის შეერთებული შტა-
ტების საქართველოსადმი მხარდაჭერას.
ასევე ჩართული ვართ და გვაქვს კონ-
ტაქტი რუსეთის ხელისუფლებასთან, რა-
თა დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ცხედარ-
ი ოჯახს, — განაცხადა გუშინ იან კელიმ.

რუსებო, აფხაზებო, ოსებო!

გადავბათ გონივრული ნაბიჯები ამ მოჯადოებულ წრიდან გამოსასვლელად




პრემიერის მიმართვა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვი-
რიკაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს
აფხაზეთთან და ოსეთთან პირდაპირი
დიალოგისთვის. სპეციალურ განცხა-
დებებში, რომელიც კვირიკაშვილმა გუ-
შინ გამოაცხადებდა, ნათქვამია, რომ ხელი-
სუფლებას ასევე შეუძლია სხვა გონივ-
რული ნაბიჯების გადადგმაც.

სო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც
დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის
მზაობა. მზად ვართ ასევე, პირდაპირი
დიალოგისთვის აფხაზეთთან და ოსებ-
თან და მისასაღმებელი იქნებოდა ამ
თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეა-
ლურად კონსტრუქციული მიდგომა. პო-
ლიტიკური ნების არსებობის შემთხვე-
ვაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გო-
ნივრული ნაბიჯების გადადგმაც. სამწუ-
ხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე
ვდგავართ. ორმხრივი საჯარო-ეკონო-
მიკური ურთიერთობები აღვადგინეთ,
მაგრამ ტრაგიკული მოვლენების ჯაჭ-
ვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის
ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მო-
წესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო
ტრაგიკული მაგალითია ორი კვირის
წინათ ცხინვალში გაურკვეველ ვითარე-
ბაში ჩვენი მოქალაქის არჩილ ტატუნაშ-
ვილის სიკვდილი, რომლის ცხედრის
გადმოცემაც კი, მიუხედავად საქართვე-
ლოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატ-
რიარქისა და საერთაშორისო თანამე-
გობრობის არაერთი მცდელობისა, აქამ-
დე ვერ მოხერხდა ოჯახისათვის. მივმარ-
თავ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხე-
ლისუფლებას, რათა დღევანდელი დღი-
სა და მომავალი თაობების წინაშე პა-
სუხისმგებლობის გაცნობიერებით, გა-
დავდგათ ერთობლივი ნაბიჯები აღნიშ-
ნული რთული ვითარების დასაძლევად“.

„მიმდინარე წლის აგვისტოში 2008
წლის ომიდან ათი წელი შესრულდება.
ამ დრამატულმა მოვლენამ ღრმა კვალი
დატოვა ქართველი ხალხის ცნობიერე-
ბასა და საქართველო-რუსეთს შორის
ურთიერთობებში. განწყვეტილია დიპლო-
მატიური კავშირები. მოსკოვის მიერ
აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის და-
მოუკიდებლობის აღიარებამ ფაქტობრი-
ვად ჩიხში მოაქცია ნორმალური სახელ-
მწიფოთაშორისი ურთიერთობის დამე-
ყარების პერსპექტივა. ამჟამად ჩვენს წი-
ნაშე არის არჩევანი — აღნიშნულ თარიღს
შევხვდეთ ურთიერთბრალდებებითა და
მწვავე განცხადებებით, რომელთა ნაკ-
ლებობა ამ წლების განმავლობაში ნამ-
დვილად არ იყო, ან გადავდგათ გონივ-
რული, თუნდაც მცირე ნაბიჯები ამ მო-
ჯადოებულ წრიდან ჩვენი ურთიერთო-
ბების გამოსასვლელად. ჩვენ ადრევე გან-
ვაცხადეთ და კვლავ ვადასტურებთ, რომ
დაინტერესებული ვართ, მივალწიოთ რე-
ალურ პროგრესს ჟენევის საერთაშორი-

ფრთხილად, „ტელეპარსკვლავებო“!



გაკაკასებული ურნაღისტების ჭარბაღი

ქართული პოლიტიკის ლაბირინთებში

გადავბათ გონივრული ნაბიჯები ამ მოჯადოებულ წრიდან




ოკუპანტის სახე

ჯავახარლალ ნერუ: 4


**არ არსებობს ქვეყანაზე
იმაზე ღიღი მტერი, ვიდრე
კოლონიზატორის მიერ
აღზრდილი ინტელიგენცია**

სიტყვა მეგობარზე

სიმაღლე სულისა



მწერალი მოგონებათა სარკეში



გზა, რომლის ასაკლ საუკუნეში გაღმოსვლია...

ინს სტოლტენბერგმა ბიოკრიტიკული ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე მიიწვია

საპარტიზმის პრეზიდენტი ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანს შეხვდა და ალიანსთან ინტეგრაციის პროცესი, საქართველოსთან თანამშრომლობის დინამიკა და სამომავლო გეგმები განიხილა. შეხვედრაზე, რომელიც ინს სტოლტენბერგის რეზიდენციაში გაიმართა, ნატოს გენერალურმა მდივანმა საქართველოს პრეზიდენტი 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე მიიწვია. სამიტს საქართველო დაესწრება, როგორც ასპირანტი და ალიანსის ღირსეული პარტნიორი ქვეყანა.

გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ინს სტოლტენბერგს საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მტკიცე მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს, ხოლო პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობა ნაყოფიერად ვითარდება. მხარეებმა შავი ზღვის უსაფრთხოების განსამტკიცებლად თანამშრომლობის პოლიტიკური და პრაქტიკული ასპექტები მიმოიხილეს. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე საუბრისას კი, ნატოს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ალიანსის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.



თხელ დაადასტურა ალიანსის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ნავისინის ხეობის განვითარების პროექტი იწყება

ფონდი „ქართუს“ მორიგი საჩუქარი თბილისს – ნავისინის ხეობის განვითარების პროექტი იწყება, რომელიც სათავედასავლო მარშრუტების, ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას ითვალისწინებს. დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, პროექტი ბოტანიკურ ბაღში სათავედასავლო მარშრუტისა და ვიზიტორთა ცენტრის მოწყობას ითვალისწინებს, რაც ბაღს დამატებით ფუნქციას შესძენს. პროექტის განხორციელება ასევე, ბოტანიკური ბაღის ხელმისაწვდომობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს. „ზოგადად, ბოტანიკური ბაღი თავისი ფუნქციითა და ადგილმდებარეობით ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი განვითარებული ქალაქი ინატრებდა ასეთ ადგილს ქალაქის ცენტრში და ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ის კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ. ვინცებთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელიც



ბოტანიკურ ბაღში ნავისინის ხეობას მთლიანად მოიცავს. აქ მოეწყობა, როგორც საფეხმავლო და ველობილიკები, ასევე სათავედასავლო და ვიზიტორთა ცენტრი. პროექტის განხორციელებით, ბოტანიკურ ბაღს ალტერნატიული შესასვლელი გაუჩნდება, სადაც საპარკინგო ადგილები მოეწყობა. ასევე, ძალიან ბევრ ველომოყვარულს ექნება შესაძლებლობა, ქალაქის ცენტრში, ულამაზეს ხეობაში დაახლოებით, ოთხი კილომეტრი ველოსიპედით გაიაროს. განხორციელებული პროექტით ძალიან ბევრი ადამიანი დარჩება კმაყოფილი, მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ყველაფერს ქალაქს საჩუქრად ფონდი „ქართუს“ უკეთებს, რისთვისაც ბიძინა ივანიშვილს მიიღია, მადლობა გადაუხადო“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

„ფონდი „ქართუს“ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თბილისის ბოტანიკური ბაღის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს. ჩვენი დაფინანსებით, ბაღში უამრავი პროექტი განხორციელდა. აღნიშნული პროექტის განხორციელება კი, ბაღის ტურისტული პოტენციალს აამაღლებს და თბილისელებს, დედაქალაქის სტუმრებს შესაძლებლობას მისცემს, ის სიკეთეები მიიღონ, რაც ბაღს გააჩნია. პროექტი ასევე, გაზრდის ბაღის შემოსავლებს და ვიზიტორთ რაოდენობას“, – განაცხადა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

პროექტის თანახმად, ნავისინის ხეობაში, რომელიც განსაკუთრებული ლანდშაფტითა და უნიკალური ბუნებით გამოირჩევა, სათავედასავლო მარშრუტი, საფეხმავლო და ველობილიკები მოეწყობა. ბაღს ექნება ალტერნატიული შესასვლელი და საპარკინგო ზონა. ასევე, ამოქმედდება ვიზიტორთა ცენტრი. კახა კალაძესთან ერთად, ბოტანიკურ ბაღში თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძე იმყოფებოდა.

პრეზიდენტმა ფაღვანიძემ მოგვიჩვენა რა უნდა გავაკეთოთ ტერიტორიულ პოლიტიკაში

ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ფედერაცია მოგვიჩვენა შეხვდა. საუბრისას აღნიშნა, რომ ევროკავშირი საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებს უმაღლეს შეფასებას აძლევს და ქვეყნის მხარდაჭერა კვლავაც გაგრძელდება. მარგველაშვილმა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან უსაფრთხოების გამოწვევებზე, ევროინტეგრაციის პერსპექტივებსა და თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრა.

ალმაშფოთებელია ყოფილი სამხედრო არჩილ ტატუნაშვილის ტრაგიკული სიკვდილი და ის, რომ საოკუპაციო რეჟიმის ცხედრის გადმოსვენებას ამ დრომდე აფერხებს. შემოთავაზება გამოთქვეს იმის გამოც, რომ ოკუპირებულ ცხინვალში დაკავებულ საქართველოს კიდევ ორ მოქალაქეს ლევან ქუტაშვილსა და იოსებ პავლიაშვილს საოკუპაციო რეჟიმში ოკუპირებული ტერიტორიის დატოვების საშუალებას არ აძლევს. საუბარი შეეხო გასულ წელს ხურჩაში გიგა ოთხოზორიას მკვლელობასაც. მხარეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია, გაძლიერდეს ძალისხმევა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობა დაუზღველი კვლავ არ დარჩეს. ფედერაცია მოგვიჩვენა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა.



განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ

ევროკავშირი და საქართველო ორმხრივ თანამშრომლობის უმაღლესი დონის ფორმატზე გადავიდეთ

საპარტიზმის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ევროკომისიის პრეზიდენტი ფან-კლოდ იუნკერი ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის ახალ, უმაღლესი დონის ფორმატის შექმნაზე შეთანხმდნენ. მხარეები მუშაობას ახალი ფორმატის ფორმირებაზე უკვე იწყებენ. ურთიერთობების ახალი ეტაპი დარგობრივი თანამშრომლობის უმაღლეს ფორმატზე გადასვლას ითვალისწინებს.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ევროკომისიისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის აქტიური და პოზიტიური თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში და გასული წელი დინამიკური პროგრესით გამოირჩეოდა. საქართველოს პრეზიდენტთან პირისპირ მოლაპარაკებების შემდეგ, ფან-კლოდ იუნკერი საქართველოს დელეგაციას გაფართოებული შემადგენლობით შეხვდა.

საქართველო მისწრაფებულია საქართველოში ვიზიტი უახლოეს

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აშშ-ის წამყვანი მეცნიერების დელეგაციის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოში ერთგვიანი ვიზიტი შეაჯამეს. აშშ-ის წამყვანმა სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს მთავრობის სტრატეგია და გატარებული ღონისძიებები. აღნიშნა, რომ მავნებელთან ბრძოლის პროცესში ღონისძიებების კომპლექსურად გატარება უმნიშვნელოვანესია.

„საქართველოს წინაშე დგას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ამოცანა. მოკლევადიანი არის მონიტორინგი, რაც მოგვცემს ინფორმაციას მავნებლის გავრცელების და ინტენსივობის შესახებ. მონიტორინგის მიხედვით უნდა დაიგეგმოს ქიმიური შენამეგლა, საშუალოვადიან

პერსპექტივაში გამოზამთრებული ბალნეოლოგის განადგურება, ხოლო გრძელვადიანი ამოცანა გულისხმობს „მოზიდე და მოკალის“ მეთოდების გამოყენებას და ბიოლოგიურ მეთოდებზე მუშაობას“, – განაცხადა ოკულაპომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენტომოლოგიისა და მცენარეთა პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ფილიპ მალდერიმ.

მართული პოლიტიკის ლაბირინთებში

გადადგეს მოგვიჩვენა პრეზიდენტი!

ჩვენი ტელეარხები გახშირდა ინფორმაცია, ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი თუა წულუკიანი იქნებაო. გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ წულუკიანის კანდიდატურას მმართველი გუნდი არ დააყენებს. არ დააყენებს პირველ რიგში იმ მიზეზის გამო, რომ ამ შემთხვევაში საარჩევნო კამპანია საკმაოდ აგრესიულ ფონზე ჩაივლის, რადგანაც ის აშკარად მიუღებელი იქნება მენტალურად მიზისტი ამომრჩევლისა და ე.წ. ოპოზიციისათვის. მეორეც – წულუკიანი არ არის ე.წ. წარმომადგენლობითი პერსონა, იმ უფ-

ლება-მოვალეობების გათვალისწინებით, რაც დღეს პრეზიდენტს კონსტიტუციით გააჩნია, წულუკიანი ამ პოსტს, რბილად რომ ვთქვა არ შეეფერება. წულუკიანი ამ შემთხვევაში ე.წ. მუხამრიდის როლისთვის გაიმეტეს, რადგანაც უკვე დაინყო მის მიმართ „ტალახის სროლა“, რისთვისაც ამ ე.წ. „ოპოზიციონერებს“ საკმაოდ დიდი რესურსი გააჩნიათ, ხოლო ნამდვილ კანდიდატს, „ოცნება“ დასახელების ვადის ბოლო წუთებში გაგვიმხელს (ამ სტილს თამამად შეიძლება რომ „უვანიას სტილი“ დავარქვათ).

რაც შეეხება იმ თემას, რომელიც „ქალ-პრეზიდენტს“ გულისხმობს, ვიტყვი, რომ ძალიან კარგი იქნება. რა თქმა უნდა, ქ-ნი გუგული მალრადის განცხადება ამასთან დაკავშირებით, რომ „ქალი ნაკლებად ამბიციურია და ნაკლებად იხედება კუნთებზე“, სრული აბსურდია და ნათლად გვაჩვენებს, რომ უმრავლესობის წევრმა ნამდვილად არ იცის, თუ რატომ სჭირდება საქართველოს ქალი პრეზიდენტი, მაგრამ ამაზე სხვა დროს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საარჩევნო კამპანია არც დაწყებულია, საზოგადოების ყურადღება (რომელსაც ფაქ-

ტობრივად მედია განსაზღვრავს), ნელ-ნელა ღვივდება და შემოგდებული, ხელ-ლოვნურად შექმნილი თუ რეალური ინტრიგების ფონზე, თანდათან იძაბება. ვის დააყენებენ კანდიდატებად ოპოზიციური პარტიები, ვინ იქნება სახელი-სუფლებო გუნდის რჩეული, გარისკავს თუ არა მარგველაშვილი? აი, ის შეკითხვები, მედიაში რომ გააქტიურებულია და არსებულ პრობლემებზე ფიქრის ნაცვლად, საზოგადოების ყურადღება ამ მიმართულებით გადააწყავს. ჩვენც ავყავთ ამ ახალდანიშნულ აუი-ოტაუს და დავსვათ შეკითხვა: როგორ კანდიდატს მივცემდი ხმას?

„არ არსებობს ძველანაზა იმაზე დიდი მტარი, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“

აღარს ჯავახარლალ ნერუს დავუჯეროთ?!



ანალიტიკოსი, „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი ზურაბ აგლაძე ამბობს, რომ რუსეთი პოლიტიკას არ იცვლის, რაც უნდა გავაკეთოთ და როგორც არ უნდა დავუთმოთ, რუსეთი გააგრძელებს თავის პოლიტიკას. მისივე თქმით, საქართველოსთვის გადარჩენის ერთადერთი გზა არის, როგორც შევიდეს უსაფრთხოების ქოლგაში. დღეს ზურაბ აგლაძე ჩვენი სტუმარია.

— ნატო არის გადარჩენის ერთადერთი გზა — ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, თუმცა ასე არ ფიქრობს ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ისინი თვლიან, რომ ნატო ძალით გვახვევს საკუთარ იდეებს. როდესაც გვყავს ისეთი მეზობელი, როგორც რუსეთია, რომელსაც ოკუპირებული აქვს შენი ტერიტორიები, ასეთ შემთხვევაში რა შეიძლება იყოს გადარჩენისთვის სწორი ნაბიჯი?

— ჩვენთვის ერთადერთი გადარჩენის გზა არის როგორც შევიდეთ უსაფრთხოების ქოლგაში. ჩვენ ნატო იმიტომ გვინდა, რომ თავი დავიცვათ რუსეთისგან. არავინ არაფერს არ გვახვევს თავს, ქართველი ხალხის არჩევანია, გავხდეთ დასავლური სამყაროს ნაწილი. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთზე, დასავლეთზე, ნატოზე და როდესაც ვსვამთ კითხვას, რატომ დასავლეთი? — იმიტომ, რომ დასავლეთი გვთავაზობს თავისი ცხოვრების სტილს.

ჩვენ თუ მოგვწონს ცხოვრების ეს სტილი, ვირჩევთ მას და მივდივართ ამ გზით. ქართველებს მოგვეწონა დასავლური ცხოვრების სტილი იმიტომ, რომ ჩვენ ვართ დასავლეთის ნაწილი, ჩვენ ვართ ევროპული ნაწილი და ამიტომ, ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენს ისტორიულ სამშობლოს. ძალიან მარტივია ეს ყველაფერი.

რაც შეეხება განცხადებას, რომელიც გავრცელდა, რომ თურმე ნატო თავს გვახვევს საკუთარ იდეებს და ხელს უშლის ჩვენს განვითარებას, ეს იყო რუსეთის რბილი ძალის კიდევ ერთი „დატესტვა“. როგორც წესი, ყოველთვის აბელირებენ ნაციონალისტურ თემებზე, რომლის მიზანია, განხეთქილება ჩამოგადონ ქართველ საზოგადოებაში და, რომ ქართველებმა კიდევ ერთხელ დაგვჭამოთ ერთმანეთი ჩხუბში — რომელი ჯობია — ნატო თუ რუსეთი. ჩვენ ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ და ვდგავართ ჩვენი არჩევანის გზაზე. ზედმეტი საუბრები და კითხვის ნიშნების დასმა ამ შემთხვევაში ზედმეტია.

— საზოგადოების ეს ნაწილი, რომლებსაც ვიცნობთ როგორც პრორუსულად მოაზროვნებს, არ შეიძლება საზოგადოებრივ განხილვაში, არიან აგრესიულიები. მათი მესიჯია — თუკი თავს დავუხრით რუსეთს, ასეთ შემთხვევაში დაგვიბრუნებს ტერიტორიებს...

— თავიც რომ დავუხაროთ რუსეთს, მერწმუნეთ, რომ არავინ არ შეგიშვებს აფხაზეთში და ცხინვალში, არც ვინ არ დაგიბრუნებს შენს ტერიტორიებს.

— ადამიანები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ მომბდნენ აფხაზეთში, ამბობენ, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ აქვე აცხადებენ, რომ მხოლოდ რუსეთი დაგვიბრუნებს ტერიტორიებს და არა დასავლეთი. ტერიტორიული მთლიანობის ხსნას ხედავენ რუსეთში. როგორ შეიძლება აიხსნას ამ ადამიანების ფსიქოლოგია?

— ძალიან მარტივია — მიზნისკენ სვლა. საერთოდ ქართველებს ყველაფერი გვინდა სწრაფად, მაგრამ სწრაფად სამყაროში ყველაფერი არ ხდება. უნდა გავითვალისწინოთ ორი რაღაცა — ეს არის პროცესი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირს ვყავდით დაპყრობილი, რომლისგანაც ადრე თუ გვიან განვითარდებით, ახლაც იგივე პროცესია და ეს არის გრძელვადიანი პროცესი.

ამიტომ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გავხდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და გავაერთიანოთ ჩვენი

დღეს თუ არსებობს საქართველოს სახელმწიფო, სწორედ ნატოს და ევროკავშირის დახმარებით არსებობს. ავიღოთ როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების სფეროში რეფორმები. დიას, მათით არსებობს საქართველო, ჩვენ მოგვწონს

მათი ცხოვრების სტილი, ჩვენ მოგვწონს დემოკრატია და ამიტომ მივდივართ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ის, რომ ნატოში ჩვენს გაწევრებას დავაბრალოთ ყველა ჩვენი უბედურება, რაც რუსეთიდან მოდის, ეს უკვე აბსურდულია.

ქვეყანა. ასე მარტივად არ ხდება ყველაფერი. უბრალოდ ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რადგან რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, ამიტომ მარტო მასთან შეიძლება ამ თემაზე საუბარი.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იყო რუსეთის ხელში, მაგრამ განთავისუფლდა. ამიტომ, ეს არის პროცესი. დეოკუპაცია არ და ვერ მოხდება ძალიან მალე. ჩვენ იმიტომ გვინდა ნატოში და ევროკავშირში გაწევრება, რომ ასეთ შემთხვევაში გარანტირებული გვაქვს, რომ მომავალში საქართველოს არაფერი არ დაემუქრება. ნატო არის ყველაზე დიდი და ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში შექმნილა. თუ ჩვენ ვიქნებით ამ დიდი ოჯახის ნაწილი, საქართველოს არა-

ბლად ევროკავშირი ერთნაირსტესისიანი ქორწინების დაკანონებას ნიშნავს. ასეთ აბსურდულ აზრებს ახვევენ ადამიანებს თავზე და გვყავს კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც სჯერათ ამ ყველაფრის. გვყავს კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც უნდათ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კიდევაც რომ დავუხაროთ თავი რუსეთს, კიდევაც რომ შევურიგდეთ, არამც და არამც აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არ დაგვიბრუნებს.

— ის, რომ რუსული პროპაგანდა მუშაობს და მუშაობს ყველა სფეროში, იქნებ საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობაც არის და არა მარტო ამ ხელისუფლების, რომ კარგად და აწარმოებს ვერ გააგვიხსნის ქართულ საზოგადოებას, რა არის ნატო, ევროკავშირი და რა კეთილდღეობა შეიძლება მიიღოს ამ ორ-

დღეს, რადგან ისეთი რეაქცია იყო საზოგადოების მხრიდან.

— აშკარად შერცხვით, რომ ამ შინაარსის წერილს მოაწერეს ხელი, მით უფრო არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის ფონზე...

— რა თქმა უნდა. საზოგადოებას, რომლის ძირითადმა მასამ იცის, სად მივდივართ, როგორ, რისთვის და რა არის ჩვენი მიზანი, მწვავე რეაქცია ჰქონდა ამ განცხადებაზე. იცით, ყოველთვის გვყავდა და გვეყოლება ისეთი ელემენტები, რომლებიც რუსეთს დაუჭერენ მხარეს, ეს ალბათ არ არის გასაკვირი. ნებისმიერ საზოგადოებაში იქნებიან ადამიანები, რომლებიც მხარს დაუჭერენ რუსეთს.

რატომაც ვამბავს ნაწილად — „არ არსებობს ძველანაზა იმაზე დიდი მტარი, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“. ამიტომ, ასეთი ადამიანები ყოველთვის გვაყოლებას, ეს არ არის ტრაგედია, ალბათ უფრო ჩვეულებრივი მოვლენაა. მთავარია, რომ ჩვენი საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა გააცნობიეროს, სად მივდივართ, რა მიზანია გვაქვს. ჩვენი საზოგადოების კრიტიკული მასა მხარს უჭერს ევროპულ და დასავლურ ფასეულობებს; საძარცვო ნატოში არაა ევროკავშირში გაწევრება. მთავარი ეს არის.

— „საქართველო გახდება NATO-ს წევრი, როცა ამისათვის საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს“, — ამ შინაარსის განცხადება კეთდება ალიანსის წევრი ქვეყნებისგან. ჩვენ გვაქვს NATO-საქართველოს კომისია, წლიური ევროპული პროგრამა, NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი და წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი, ყველა ეს პროექტი არის წევრობისთვის მომზადების მექანიზმი?

— გეთანხმებით, ასეა. ალბათ, პირველ რიგში, კითხვა უნდა დავსვათ — რა დაგვიშავა და რა დაგვიფუჭა ნატომ და ევროკავშირმა და რა დაგვიშავა და რა დაგვიფუჭა რუსეთმა — ძალიან მარტივია, როდესაც ამ კითხვას გავცემთ პასუხს, გვეცოდინება, ვინ არის ოკუპანტი, ვინ მტერი და ვინ მოყვარე. რატომაც, არ მასხენდება ნატოს, ან ევროკავშირს ჩვენთვის რაღაცა დაეშავებინა, პირიქით მასსოვს და ამას ფაქტები ადასტურებს.

დღეს თუ არსებობს საქართველოს სახელმწიფო, სწორედ ნატოს და ევროკავშირის დახმარებით არსებობს. ავიღოთ როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების სფეროში რეფორმები. დიას, მათით არსებობს საქართველო, ჩვენ მოგვწონს მათი ცხოვრების სტილი, ჩვენ მოგვწონს დემოკრატია და ამიტომ მივდივართ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ის, რომ ნატოში ჩვენს გაწევრებას დავაბრალოთ ყველა ჩვენი უბედურება, რაც რუსეთიდან მოდის, ეს უკვე აბსურდულია.

90-იან წლებში როდესაც არ არსებობდა ნატო და ევროკავშირი გაწევრების იდეა, რუსეთმა უკვე მოასწრო და დაგვიშავა. სწორედ რომ რუსეთის ასეთი მზაკვრული ქმედებით არის გამოწვეული ჩვენი სწრაფვა დასავლეთისკენ. იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს ასეთი აგრესიული მეზობელი...

ესაუბრა თამთა ძარჩავა



ფერი არ დაემუქრება. ამიტომ რუსეთს აბსოლუტურად ყველა მისი ბერკეტი აქვს ჩართული, რომ როგორც ხელი შეუშალოს ჩვენს ნატოში შესვლას. რუსეთს კარგად ესმის, რომ თუ ჩვენ შევედით ნატოში, მას საქართველოს კონტროლის არავითარი შანსი არ ექნება. არავითარი შანსი არ ექნება ჩამოარტყას საქართველოს თავში და მიუთითოს, რა უნდა აკეთოს.

— ამ პროცესში არ უნდა გამოვრიცხოთ რუსული რბილი ძალის მუშაობა?

— არა, რა თქმა უნდა. რაღაც კონტექსტში და რაღაც ნაწილში ის მუშაობს, განსაკუთრებით ასაკობრივ ჯგუფში მუშაობს. მოდით ვთქვათ, ჩვენი გვყავს ადამიანები, რომლებიც ძირითადად ენის გამო უყურებენ რუსულ არსებს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენთან რუსული არსები საკმაოდ არის წარმოდგენილი, ენის გამო მხოლოდ რუსულ არსებს უსმენენ. ვალიანოთ ისიც, რომ საკმაოდ კარგად აქვთ გათვლილი პროპაგანდა და კარგად იყენებენ რბილ ძალას.

— საქართველოს შემთხვევაში რამდენად კარგად აქვთ აწყობილი ეს პროპაგანდა?

— პოსტსაბჭოურ სივრცეში საკმაოდ კარგად აქვთ აწყობილი. ამიტომაც გვყავს ჩვენ საკმაოდ რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც უსმენენ რუსულ არსებს, სადაც საუბარია ძმობაზე, საუბარია, რომ ნატო და ევროკავშირი დამპყრობელია. ხშირად ხდება ხაზგასმა ისეთ თემაზე, რომ აუცილე-

განიზაციაში განწევრების შემთხვევაში? როდესაც ადამიანი ამბობს, რომ რუსეთმა წამართვა და მხოლოდ ის თუ დაუბრუნებს წართმეულს, ეს უკვე არის განათლების პრობლემაც...

— ყველაფერი შედარებითია. ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრებას. თუ დავაკვირდებით პოსტსაბჭოურ სივრცეს — ბელარუსს, უკრაინას, სამხრეთ კავკასიისა და აზიის ქვეყნებს, გაცილებით ნიწ ვართ ნასული, გაცილებით ინფორმირებულია საქართველოს მოსახლეობა და გაცილებით მეტი ადამიანი უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში და ნატოში შესვლას. ამიტომ, ყველაფერი შედარებითია და მეორე — როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენ გვყავს პრორუსული პოლიტიკის მომხრეები, სიმართლე რომ გითხრათ, ღია წერილი რომ გამოქვეყნდა, ველოდებოდით, რომ გაცილებით მეტი ადამიანის ხელმოწერა იქნებოდა. სულ რაღაც ერთი ათეული ადამიანის ხელმოწერა იყო, რაც ჩემთვის გასახარებელია.

როგორც ჩანს, ერთ ათეულზე მეტი, თუნდაც კულტურის სფეროში ვერ მოიძებნა ადამიანი, ვინც ამ განცხადებაზე ხელს მოაწერდა. შეიძლება შინაგანად უფრო მეტი უჭერს მხარს ამ წერილს, თუმცაღა ამ ადამიანებმა თავისი პოზიცია არ გამოხატეს. ზოგიერთმა კი, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას, მოგვიანებით უარი განაცხა-

(გეორგი ბერძენიძე)

იმ მოვალეობებიდან გამომდინარე, რაც საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია, ყველაზე მისაღები მანდილოსნის კანდიდატურა იქნებოდა. ყველაზე მისაღები, რადგანაც ქვეყნის სიმბოლური მეთაური, სამხედრო ძალების სიმბოლური მთავარსარდალი და საგარეო ურთიერთობებში სიმბოლური წარმომადგენელი, რომელიც აღარ წარმართავს და განახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც აქვს შეწყალების და დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვის უფლება, სწორედ იმ მანდილოსნისთვის შესაფერისი საქმეა.

იმათ პასუხად, ვინც დასვამს შეკითხვას – ქალი მთავარსარდალი როგორ წარმოიდგენიათო, ვიტყვი, რომ დღეს არავის სჭირდება თეთრ, საომარ ცხენზე ამხედრებული მთავარსარდალი და არც დიპლომატიური ხვანჯერების ჩამხლართავი „ტალირანი“.

თუ „ქართული ოცნება“ ამ პრინციპით იხელმძღვანელებს, მაშინ სრულიად შესაძლებელი იყო, რომ კანდიდატად თამარ ჩუგოშვილი დაესახელებინათ, მაგრამ როგორც თავად ჩუგოშვილმა განაცხადა, მას კონსტიტუციით განსაზღვრული ასაკი არ უნდოდა ხელს.

მშრალი ანალიზის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ მომავალი პრეზიდენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებად ადამიანის უფლებების დასაცავი დეკლარაციების (არა არსებული რეალობიდან, ან მოსახლეობის მენტალობიდან გამომდინარე, არამედ „დეკლარაციების“ და რეზოლუციების“) მიხედვით დაცვა და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობა იქნება, რაც „წარმატებით“ გააგრძელებს პრეზიდენტის ინსტიტუტის არასამთავრობო ორგანიზაციად გადაქცევის გზას.

მოდით, ვნახოთ, თუ რა არის საქართველო დღეს – ხანძარი, მიწა, გუგული, გვარამია, ბოკერია, უკანონო მშენებლობა, გატაცება, მკვლელობა, ჩადება, უკანონო მშენებლობა, გატაცება, მკვლელობა, ჩადება, ხანძარი, მიწა, გუგული, გვარამია, ბოკერია, გატაცება, მკვლელობა, ჩადება, ხანძარი, მიწა, გუგული, გვარამია, ბოკერია, უკანონო მშენებლობა, გატაცება, მკვლელობა, ჩადება...

ვანისა და ხონის მაჟორიტარზე, ხანდახან ვხუმრობ ხოლმე, მაგრამ ახლა მართლა სერიოზულად ვწერ: რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს, ამ ერთი მაჟორიტარის „ადგილი“, ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკური ცხოვრების რეალობას გვაჩვენებს.

ნაცებმა „გაყოფის“ შემდეგ, ძალიან საყურადღებო პოლიტიკური თამაში შემოგვთავაზეს. ფუნდამენტალისტური ნაცები ცდილობენ რადიკალური ოპოზიციის მანტიის მორგებას, რაც ქართული მედიის წყალობით, საკმაოდ კარგად გამოსდით. მაგალითისთვის ვინმე ხაბეიშვილის ვოიაჟები და რაღაც ფურცლების ფრიალი და მედიას მკაცრი განცხადებებიც საკმარისია. ევრონაცები კი „კონსტრუქციული“ ოპოზიციის მანტიის მორგებას ცდილობენ.

ხელისუფლებას ასეთი განაწილება ძალიან აწყობს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ გაკოტრებული ნაცების მხრიდან რადიკალიზმის თამაში, რეალურ რადიკალებს ართმევს იმ ნიშას, რომელიც ქართული ხალხის მიზნების სამსახურში უნდა იდგეს, ხოლო ევრონაცების კონსტრუქციულობა, ყოველად უავტორიტეტო დასავლურ სტრუქტურებთან ურთიერთობას „აღაგებს“ (გუშინინდელი შესვედრა და „კონსტრუქციული“ საუბარიც ამის დასაწყისი იყო). არადა მათ ვისთანაც დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს აქვს ურთიერთობა, დასავლეთში არანაირი წონა არა აქვთ.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, შეუიარაღებელი თვალთვალს ჩანს, რომ ევროპული საქართველოს მიერ ვანისა და ხონში გიგი უგულავას კანდიდატურის დაყენება, ე.წ. „პრობნი შარის“ გათამაშება (ბილიარდის ტერმინია). მისი შესვედრები მოსახლეობასთან, საუბარი ფაროსანაზე და სხვა რეალურ პრობლემებზე, ფაქტობრივად, სოციალური გამოკითხვაა, რითაც „ევრონაცები“ მოსახლეობის განწყობის დადგენას და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, შესაბამისი დაპირებების შემოშავებას შეძლებენ.

ევრონაცების მიზანი საპრეზიდენტო არჩევნებია, სადაც ისევ უგულავას კანდიდატურა დადგება. მათი მიზანი მთავარ ოპოზიციურ და ამავე დროს კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალად გასაღებაა. ვანი-სა და ხონის მაჟორიტარ დეპუტატად „ოცნებას“ შესანიშნავი კანდიდატის დაყენება შეუძლია. არ მინდოდა, დამენერა, რადგანაც მეშინია, ხელი არ შევუშალო, მაგრამ როგორც წესი, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვა: დათო ლორთქიფანიძე, რომელსაც ვანის რაიონში, ფაქტობრივად, ყველა საფეხური აქვს გავლილი, რეგიონის მდგომარეობას ყველაზე კარგად იცნობს და არც სადმე არ არის საქმობელი.

დღეს ევრონაცების და ნაცების მხრიდან, ნაცების, რომლებიც, ფაქტობრივად, ევრონაცების საზარბაზნე ხორცად არიან გამწვებულნი, ძალიან დიდი საშიშროება მოდის.

ვანი-ხონის არჩევნები, მართლაც „პრობნი შარია“ და ეს „შარი“, შარად არ უნდა გადაიქცეს.

რაც შეეხება ევრონაცების კიდევ ერთ „შარს“ – ე.წ. „რუსული პროპაგანდის“ გაძლიერებასთან „ბრძოლა“, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე სრულ მარაზში გადავიდა.

ცხადია, რუსეთს, როგორც ტოტალიტარულ სა-



გადადგეს მოსახლეობის პრეზიდენტი!

ხელმწიფოს, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი და აქტიურად იბრძვის თავისი მიზნების გასატარებლად, აქვს იდეოლოგიური და საინფორმაციო ომის წარმოების უზარმაზარი რესურსი. რესურსი, რომლის ერთ-ერთ მთავარ მესიჯს საბჭოთა კავშირში არსებული ცხოვრების დონის დღევანდელ მდგომარეობასთან შედარება წარმოადგენს, მაგრამ საყურადღებო ისაა, თუ როგორ მიმდინარეობს ამ მესიჯის საინფორმაციო ინფორმაციის მიწოდება.

ნაპოლეონის ამბობდა, რომ მთავარი ბრძანების გაცემა კი არ არის, არამედ ის, თუ ვის დაავალებ ამ ბრძანების შესრულებასო.

არ შეიძლება რომ მე, რომელიც 60 კილოგრამს ვიწონი და, სავარაუდოდ, მაქსიმუმ 25 კილოგრამი ტვირთი ავწიო, ვიყო სქართველოს ძალისხმეა ნაკრების მთავარი დასაყრდენი ფიგურა.

არ შეიძლება, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა აწარმოოს ლოთმა ან ნარკომანმა, რომელიც პიარკამპანიის პროცესის დროს არაყს სვამს ან ჰეროინს იკეთებს.

სწორედ მსგავსი ვითარებაა დღეს საქართველოში. საოცარია, მაგრამ არავინ, ვიმეორებ – არავინ საუბრობს იმაზე, თუ რა არის ე.წ. „რუსული პროპაგანდის გაძლიერების“ მთავარი მიზეზი.

არ საუბრობს იმაზე, რომ:

1. ხდება დასავლური ლირებულებების დამახინჯებული წარმოდგენა.

2. იმ იდეებისა და მსოფლმხედველობის, ნამდვილად ცივილიზებული დასავლეთისთვისაც სრულიად რომ მიუღებელია, აგრესიულად დაფუძნების მცდელობაა.

3. ის ხალხი, ვინც ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის მეშვეობით მოახერხა და დასავლური ლირებულებებისა და კულტურა-განათლების გავრცელებაზე აიღეს მონაწილეობა.

ზუსტად ის მდგომარეობაა, როდესაც გინდა ვაშლის კარგ თვისებებზე ისაუბრო და სალი ვაშლის ნაცვლად ჭიანჭ აჩვენებ. თან ამტკიცებ – ნახეთ, რა კარგია, ხორციცაა და ხილიცო!

იმ უამრავი სოციალური პრობლემის ფონზე, იმის ნაცვლად, რომ მიდიოდეს ბრძოლა ელიტური კორუფციის, ჩინოვნიკთა ხელფას-პრემია-დანამატების აშკარა შეუსაბამობაზე პენსიებსა თუ სოციალური დახმარებისთვის გაცემული თანხების ოდენობასთან, გვესმოდეს ფრაზა: „ძალა ევროპაშია“ და მსმენელთა 80%-მა ზუსტად იცოდეს, რომ ის სამოგზაუროდ, სამკურნალოდ ან განათლების მისაღებად ევროპაში ვერასდროს ვერ წავა.

სრული აბსურდია ის ლოზუნგები, რომლებიც ქვენოფობია და ჰომოფობიის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგანაც ქართული ცნობიერება გენეტიკურად გამორიცხავს ამ დიდ უბედურობებს და იმის ჩიჩინი, რომ „ქართველები ქვენოფობები, ჰომოფობები და ბნელ წარსულში ჩარჩენილი მოძალადე ხალხია“, თავდაცვის ინსტინქტს აძლიერებს და დასავლური ლირებულებების მხარდაჭერის ნაცვლად ე.წ. რუსული პროპაგანდის წისქვილზე უშვებს წყალს.

სრული აბსურდია ის ე.წ. „კვლევები“, რომლებიც საზოგადოების განწყობის შესასწავლად მიმდინარეობს, და რომლებიც ისე არის აცდენილი რეალობას, როგორც ცა და დედამიწა, რადგანაც ჩემთვის ხალხის განწყობა ცნობილია ჩემი მეზობლებისგან, ნათესავებისგან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოსმენილი დიალოგებისგან და არა რომელიმეც პარტიის ოფისში ჩატარებული გამოკითხვისგან.

ბაია პატარაია, გიგა ბოკერია, ე.წ. „მწერლები“ და ყველა მსგავსი ჯურის არსებები რომ არეკლამებენ დასავლური ცხოვრების წესს, რატომ გვიკვირს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ზიზღი ექნება ნამდვილი დასავლური ფასეულობების მიმართ?

და ეს უაზროდ მეპროტესტებები, რომლებიც, თამამად შეიძლება თქმა, თავიანთი მარაზმატული „აქციებით“ საბოლოოდ ართულებენ ისედაც არეული ვითარებას, რაც ცხინვალში ახალგაზრდების პროტესტმა – არ დავუბრუნოთ არჩილ ტატიუნაშვილის ცხედარი საქართველოს, დაადასტურა.

უბედურება კი ის არის, რომ კონსტრუქციული დიპლომატიური გზების მოძიების და ამ გზების რეალური შესრულების ნაცვლად იმ მართლაც უაღრესად საჭირობოროტო თემას, ტერიტორიების დაბრუნებას, კომერციული მიზნებისთვის იყენებენ.

უკვე გამოვიდა ხელოვნური ტყავისგან დამზადებული პასპორტის ჩასადები, რომელზეც მავთულხლართვითა გამოსახული და 30 ლარი ღირს. დატვირთვა კი „მსოფლიოსთვის ჩვენი გასაჭირის გაცნობაა“.

აი ეს მარაზში ნამდვილად ყველა მასშტაბს სცილდება.

არ გამიკვირდება, თუ მალე საოკუპაციო ხაზთან ფასიან ფოტოგადაღებასაც დაიწყებენ. 1. რუს ოკუპანტთან ფოტო – 50 ლარი. მავთულხლართთან – 20; მავთულხლართთან მაშინ, როცა მეორე მხარეს გლენხი დგას – 30 ლარი; ოკუპანტთან, რომელიც ავტომატს გიმიზნებს – 100 ლარი; საპროტესტო აქციასთან ერთად – 40 ლარი;

დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მოიფიქრებენ რამეს. მათ ხომ დიდი ფანტაზია აქვთ!

სწორედ ეს საკითხები ექნება მოსაგვარებელი საქართველოს მომავალ პრეზიდენტს და რადგანაც პარტიის წინააღმდეგ გამოსული ვერც ერთი კანდიდატი (ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც უკვე დასახელდა) ამის მოგვარებას ვერ შეძლებს, ამიტომ ახლავე შემიძლია განვაცხადო: გადადგეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი!

გიგა ბაბრიძე



მაღალი კლასის ბუტიკ-ჰოტელი თბილისის ისტორიულ უბანში

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და

წარანდამ დააპროექტა. უშუალოდ სასტუმროს შენობა მე-19 საუკუნეში აგებული კულტურული ძეგლს წარმოადგენს, რომლის ფასადიც აღნიშნული ეპოქის შესაბამისად იქნა შენარჩუნებული.

მაღალი კლასის ბუტიკ-ჰოტელი Maison Boutique Hotel საზეიმოდ გახსნეს. სასტუმროს გახსნას ასევე დაესწრო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი. საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს სასტუმროს ინტერიერი და ნომრები, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულმა იტალიელმა არქიტექტორმა ჰემბერტ პე-



სასტუმროში, რომელიც ამჟამად 14-ნომრიანია, 3,5 მლნ ლარზე მეტი გერმანული და ესპანური ინვესტიცია განხორციელდა. სამომავლოდ იგეგმება დამატებით 2 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელება და სასტუმროს 25 ნომრამდე შევსება, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზის, აუზის, სპა-ცენტრის და რესტორნის დამატება.



ჭაბუკა ამირჩხიშვილი

თბილისში, ექიმების ოჯახში დაიბადა. ბავშვობა გურიის ლაშა სოფელში გაატარა, მაგრამ მამის დაბრუნების გამო ეს პერიოდი მუქ ფერებში დაამახსოვრდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობდა, მამა რომ დაბრუნდა ვორკუტის თავისუფალი გადასახლებიდან. მამის წყალობით ლევან გოთუას დაუახლოვდა და მისგან არაერთი რჩევა მიუღია. ყველაზე შთამბეჭდავად მაინც ყურნალ „ცისკრის“ რედაქციაში მუშაობა ახსენდება, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის კარი მუდამ ღია იყო...

ლექსების 20-მდე კრებულისა და უამრავი ლიტერატურული წერილის ავტორია. ახლა მისი ლექსების მინიატიურული კრებული მზადდება გამოსაცემად. ასევე აპირებს დღიურების ორტომეულის გამოცემას... ამბობს, რომ პოეზიის რჩეულის შედგენასაც გეგმავს, ოღონდ აუცილებლად 1000 ლექსი უნდა დაიბეჭდოს. — პოეტ ემზარ კვიციანიშვილის პერსონა.

— ჩემი დედა-მამა, სადაც ახლა თქვენ იმყოფებით, აქ, ახვლედიანის ქუჩაზე ცხოვრობდა... მამაჩემს უთქვამს, ბავშვები სოფელში უნდა გაიზარდონ, რომ სოფლის მაღლი დაჰყვეთო. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნათლისმცემელში გადავიდით თბილისიდან. ამ სოფელს მერე ბოლშევიკებმა აგარაკი დაარქვეს. აქ 5 წლამდე ვიზრდებოდი. ლანჩხუთის რაიონში მამიდაჩემთან და თავის დედასთან გაგვაგზავნა მამამ. მზრდიდა მამიდა, რომელიც არ გათხოვილა ჩემი და ჩემი ძმის სათრით და ბებიამ, რომელიც ადრე დაქვრივდა.

დიდი გაჭირვება იყო. კარგად მახსოვს 1942 წელი, 7 წლის ვიყავი, სადგურიდან ფოსტის თანამშრომელი ამოვიდა და მამიდაჩემთან ამბავი მოიტანა, დავითი, ანუ მამაჩემი, დაპატიმრებულიაო. თავიდან დახვრეტა მიუსაჯეს, 45 დღე იჯდა დასახვრეტ კამერაში, მერე 10 წელი მისცეს. ბიძაჩემთან, დედის ძმასთან — კაკო იმნაძესთან ერთად დააპატიმრეს. ბიძა იყო ფეხბურთელი და ინჟინერი, ბორის პაიჭაძის მეგობარი, სტადიონის გახსნაზე დიდებული სიტყვით გააშვიდა. მერე „კაგებეს“ ხალხს სცემა. დაიჭირეს და 8 წელი მისცეს.

სადაც ის იყო, ქურდები ვერ გაჭაჭანდებოდნენ და პოლიტპატიმრებს ვერაფერს დაუშავებდნენ. ციხეშიც გალახა რამდენიმე ქურდი, ჯერ თბილისში იყო დაპატიმრებული, მერე ნოვოსიბირსკში გადასახლეს, სადაც გერმანელი ქალი ითხოვა, 4 შვილი ჰყავდა და გვიან დაბრუნდა საქართველოში.

მამა ჯერ ორთაჭალის ციხეში იჯდა. 1949 წელს გრიგოლ კოსტავა და მამაჩემი ორთაჭალის ციხიდან ვორკუტის გზას გაუყვეს.

12 წლის ვიყავი, მე-8 კლასელი, დედაჩემმა თბილისში წამომიყვანა და მე-8 ვაჟთა სკოლაში მიმიყვანა. სკოლა ვერის ბაღს ესაზღვრებოდა. „დობრი მიშკას“ აკადემიას ეძახდნენ, რადგან მიშა სიხარულით იყო დირექტორი. კეთილშობილებით გამოირჩეოდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიგონებო. 1954 წელს დავაბრუნე სკოლა. მამაჩემისგან განსხვავებით, მედიცინა არ მინდოდა, ლიტერატურა მომწონდა. ამიტომ უნივერსიტეტის კარი შევალე, ზურაბ ჭყუმბურიძე და ტარიელ კვანჭილაშვილი ჩემზე მუროვეობდნენ უნივერსიტეტში. რეზო ჭყიშვილი რამდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ ერთად ვაბარებდით.

მამაჩემი — დავით კვიციანიშვილი გადასახლებიდან 1956 წელს დაბრუნდა. მესამე კურსზე ვიყავი და მერე, როგორც შეეძლო, ყველანიარად მიპატირონა. მამაჩემი ღვთაებრივი კაცი იყო, მას ვერც ერთი ვერ შევედრებოდა. თბილისის ექიმების თაობებმა მის ხელში გაიარეს. ბოლოს პედიატრიის ინსტიტუტში მუშაობდა.

დედა ნინო იმნაძეც, მეორენიარად გუგულის ექახდნენ, ექიმი იყო, გინეკოლოგი. საშინლად გაამწარა ცხოვრებამ. 2 შვილი მარტომ გაგვზარდა.

— წიგნად გამოეცით თავად გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრება, იგი მამათქვენთან ერთად მოხვდა პატიმრობაში...

— მამაჩემმა გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრება ციხეში ჩაინერა და მერე მე გამოვეცი წიგნად. გვან

ჯი დიდებული პიროვნება, მთელი სამეგრელოს სიამაყე იყო. რამდენჯერმე დააპატიმრეს, ერთ-ერთი დაპატიმრების დროს კი მამაჩემთან მოხვდა, მას სანიტარულ ნაწილში ოთახი ჰქონდა და იქ ჩაინერა მამამ მისი ნაამბობი. ეს ჩანაწერები მოგვიანებით ლიტერატურის მუზეუმს ჩავაბარე, თუმცა გავშიფრე და გამოვეცი. საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. გვანჯი ჩიქოვანის ნაამბობი და ეს ჩანაწერები მოგვიანებით ლიტერატურის მუზეუმს ჩავაბარე, თუმცა გავშიფრე და გამოვეცი. საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. გვანჯი ჩიქოვანის ნაამბობი და მუშნი დადიანის დღიურები ერთად არის ამ წიგნში.

— უნივერსიტეტში სტუდენტობა საინტერესო პერიოდს დაემთხვა... იმ დროს სამწერლო ასპირანტურაში გამოირჩეული თაობა გამოჩნდა...

— ერთიმეორეზე უკეთესი პედაგოგები მას-

სწავლობდა. სხვათა შორის, ლევანის პირველი ნიგნი „გმირთა ვარამი“ გადასახლებიდან ჩემმა გამზრდელმა მამიდამ ჩამოიტანა, რომელიც მამაჩემთან ჩავიდა. ასე მოხვდა პირველად ჩემს ხელში ბატონი ლევანის რომანი. შიგ ლექსებიც იყო ჩართული.

ვორკუტის დიდი აჯანყების დროს ლევან გოთუას მოვლენების შუაგულში ტრიალედა. ნომრები ჰქონდათ გვარების ნაცვლად პატიმრებს და ამაზე აჯანყდნენ. ტყვია დაუშინეს პატიმრებს, და, მგონი, ერთ-ერთი თავზე მდგომი მოკლეს კიდევ. ბატონმა ლევანმა თავის დროზე მამიდა, ჩემი ხელით გამოვიყვანე მრავალი დაჭრილი. ამ ამბების მერე რეჟიმი ცოტა შერბილდა.

ბატონი ლევანი მამაჩემზე ერთი წლით ადრე, 1955 წლის გაზაფხულზე გამოვიდა ვორკუტიდან, გზიდან ღია ბარათი გაუგზავნა მამაჩემს, უკვე საქართველოს მინაწყალზე ვარო. გულისხმობდა აფხაზეთში შესვლას. იქიდან გაუგზავნა ღია ბარათი მამაჩემს. როსტომ ჩხეიძესთან, როგორც პატიმრების ქომავთან, ინახება ეს ბარათი... მერე, როცა ჩამოვიდა თბილისში, ყოფი-



სეკვას ჯანსუღ რარკიანი

გზა, როგორც ახალ საუკუნეში გადმოვიდა...

ნომრის სტუდენტობა ემზარ კვიციანიშვილი

წავლიდნენ. გრიგოლ კიკნაძე, ალექსანდრე ბარამიძე, დიდებული ლეო მენაბდე. ლეო მთელი საქართველო მოგვატარა. გრამატიკა მაშინ მალა დონეზე ისწავლებოდა... ერთად გვიკითხავდნენ: ივანე გიგინეიშვილი, ივანე ქავთარაძე და ივანე იმნაიშვილი. სამი ივანედან ყველა ახლოს იცნობდა მამაჩემს. შვილიშვილებს ასინჯებდნენ მამას... ლექციაზე რომ მივიღოდი, მეტყუდნენ ხოლმე, დავითის შვილს 4-იანს როგორ ვაკადრებთო და, გამწურავდნენ ხოლმე...

პირველ კურსზე რომ ვიყავით, ჯანსუღ ჩარკვიანის ჯგუფი მაშინ ამთავრებდა. ძალიან ძლიერი ჯგუფი ჰქონდა — თამაზ ბიბილაური, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე... ყველანი ერთად იყვნენ...

უნივერსიტეტს ჩვენს თეთრ სახლს ვეძახდით და უზომოდ გვიყვარდა.

— ჟურნალ „ცისკარში“ იმ დროს მოგინათ მუშაობამ, როცა რედაქტორად ჯანსუღ ჩარკვიანი იყო და გაბედული სტრიქონებით გამოირჩეოდა... მრავალი საყურადღებო ნაწარმოები გამოქვეყნდა მაშინ...

— კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ხუტა ბერულავას მერე რედაქტორად ჯანსუღი მოვიდა. 10 წელი ვმუშაობდით ერთად. მე და ჯანსუღმა ცხოვრების ყველაზე კარგი წლები ერთად გავატარეთ. მე პოეზიის განყოფილება მუშავებ.

თუ როგორი რედაქტორი იყო ჯანსუღი, სპეციალურად წერილი დავებეჭდე, მაგრამ კიდევ ვიტყვი: არაფრის წინაშე არ იხვედა უკან, გამუდმებით გვეკითხებოდა, ვინმე ნიჭიერი არ გამოჩნდა? რაზე არ გამოგვაპროთო.

— ლევან გოთუას კარგად იცნობდით, მამათქვენთან ერთად ვორკუტის ბანაკში მძიმე გზა განვლო... ბევრი გაქვთ გასახსენებელი...

— მამაჩემი და ლევანი ჩრდილოეთში ერთად მოხვდნენ. ლევანი ახალგაზრდობიდან ეროვნული სულისკვეთებისა და სამშობლოს სიყვარულის გამო რამდენჯერმე დააპატიმრეს. ერთ-ერთი ბოლო დაპატიმრების დრო მამაჩემთან ერთად მოხვდა ვორკუტაში, თავისუფალ გადასახლებაში.

გადასახლებული ქართველები ცნობილ მწერალს ლევან გოთუას ყველანიარ პირობას უქმნიდნენ, რომ შედარებით იოლი სამუშაო შეესრულებინა და შემოქმედებითად ემუშავა. ასე დაწერა თავისი „გმირთა ვარამი“. პატიმრებს დაწინაშე ვაგონებდით მისი ხელნაწერები გამოშვებულად. იქ მუშაობდა ქართველი ქალი თამარ ჯაფარიძე, რომელიც პატიმრებს ძალიან

ლი ენგელის ქუჩაზე დამიბარა ბატონმა ლევანმა, მამაჩემმა შემომიტვალა, მივსულიყავი... უკვე სტუდენტი ვიყავი... მისი ღრმად მოხუცებული დედა ცოცხალი იყო... ასევე შინ დამხვდა მისი სამი და — თამარი, მზია და თინა. მამს — ბატონ სანდროს ცალკე ჰქონდა ოჯახი... დემა ლევანს ყველანიარ პირობები შეუქმნეს, დიდი, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა... ლევანმა მთხოვა, შენი ნაწერები მაჩვენეო. ძალიან კარგი რჩევები მომიცა.

ლექსს და ჩანახატს ფორმა სჭირდებოდა, წარმოდგინე ქალი, რომელიც უნდა შეიმოსოს და

პირველად იმით სახელზე ასწევდნენ ჭიქას, რომელთაც საქართველოში აღარ ელირსათ დაბრუნება და ყინულებში, ტუნდრაში ჩატოვებს ძვლები.

აქ სწორად ვხვდავი საშა-ალექსანდრე პოპოს, დიდებულ პიროვნებას, ეკონომისტს, ასევე — ზურაბ მიქელაძეს, დიდებულ ფილოსოფოსს, უნიჭიერეს პიროვნებას... ჭაბუკა ამირჩხიშვილიც მათ წრეში იყო...

თუ სამეგობროდ ვინმე გარდაიცვლებოდა, სიებს ადგენდნენ და მის ცოლ-შვილს ეხმარებოდნენ. ლევანთან სახლში მივედიოდი ხოლმე, ძალიან კეთილი იყო, შემოწირულობას არასოდეს იმთავითვე ვინმეს დასახმარებლად იგი ყველას უყვარდა. ლევანის არსიყვარული არ შეიძლება ბოდა. რეზო ჭყიშვილი იყო სწორად იმის გვერდით, ასევე — რევაზ ინანიშვილი, მედია კახიძეს განსაკუთრებით უყვარდა. ერთხელ, მორიგი მოგზაურობის დროს, მახსოვს, მედემ გადამსწია ტოტი და თვალეში მოხვდა... ვაი, დაებრმავდით... წაშლიდასა მედემ. შენ უნდა ბატონი ლევანი, სანამ არ მოასულიერა, გზა არ გაგვიგრძელებია...

კარგი მეუღლე ჰყავდა, ქალბატონი ციცო, რომელიც ყველანიარად უწყობდა ხელს. ნიგნი თუ გამოვიდოდა, დიდებული წარწერით ჩვენს ოჯახს უძღვნიდა ხოლმე.

ბოლოს „მითრიდატეზე“ მუშაობდა. ასეთი თვისება ჰქონდა, როცა რამეზე მუშაობდა, აუცილებლად გადაატრიალებდა წყაროებს, ყველაფერს, რაც თემას უკავშირდებოდა. ოთახი საცხე იყო ფურცლებით და წიგნებით.

უთხრეს, რუსთაველის იუბილე და რამე პიესა დაგვიწერეო. ხალხი რომ ჩამოვა, რუსთაველზე დაგახვედროთ სპექტაკლიო. ერთი წელი იმუშავა. გვერდზე გადადო ყველაფერი... მე არ მინახავს მისი პიესა, მაგრამ როცა ჩააბარა, მერე პიესის დადგმაზე უარი მიიღო, პროინციულობაში ჩამოგვართმევინო... უხერხულად კი გამოვიდიოდა...

არმაზში სწორად დავდიოდით, ჩამოდიოდნენ გადასახლები მეგობრები უკრაინიდან, ყველას ძალიან უყვარდა, არაჩვეულებრივი დახვედრა იცოდა.

— არმაზში სწორად ადიოდა მისი უმცროსი მეგობარი, ფოტოხელოვანი გურამ თიკანაძეც, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა და რომელსაც მწერალმა წერილი-ჩანახატი „ირმის კვლი“ მიუძღვნა...

— რამდენიმე ხნის წინათ ანატოლი ქავთარაძემ, რომელიც გურამ თიკანაძესთან და გურამ რჩეულიშვილთან ერთად მთაში დადიოდა, ნიგნი გამომიგზავნა უნიკალური ფოტოებით... გურამ რჩეულიშვილის დაღუპვა დოკუმენტურად აღწერა. მისი ვერსია ყველაზე სანდოა. სამწუხაროა, რომ ორივე გურამი ტრაგიკულად დაიღუპა, ორივე ჩვენი მეგობარი იყო.

არმაზში არ შეხვედრივარ გურამ თიკანაძეს, მაგრამ ისე სწორად ვხვდავი, „ცისკარში“ მოდიოდა. სურათი უნდა გადაგიღო და შენი პორტრეტი უნდა გაგაკეთოო, მითხრა... ეს პორტრეტი მას აღარ დასცალდა.



მარსენიდან — ჯალ ჭანია, მურმან ლეხანიძე, თორნიკე კოპალიანი; სხლან — მურმან ჯგუზური, თამაზ ჩხეიძე, ემზარ კვიციანიშვილი.

10 სამოსელი აქვს, რომელიც უფრო მოერგება და მოუხდება, იმას აირჩევს, ასეა ლექსიცო. პლასტიკას მიჰყვება ყურადღება, ცარიელი სიტყვები არ არის საჭიროო...

სწორად დავდიოდი მასთან, არაჩვეულებრივი გულისყურის კაცი იყო, სულ მოგზაურობა უნდოდა...

მახსოვს, ერთხელ ბირთვისში წავედი და ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდი. ერთად ვიყავით — ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, გივი სამსონაძე, დოდო ჭიჭინაძე, რომელიც ბატონი ლევანის პიესებში თამაშობდა. იქ ცოტა მიუვალი ადგილები, ღრანტეებია, ბატონი ლევანი ყველაფერს ითვისებდა, ბანარი ჰქონდა შემოსეველი და ბანრით გადავდიოდით მწვინდავად ადგილებზე. ჯანსუღმა უთხრა ხუმრობით, მარტო პატრონიტი კი არ ხარ, ბანარიტიც ხარო... ჩვენთან იყო აკაკი ბელიაშვილი, აკაკი და მისი მეუღლე ბატონ ლევანთან მეგობრობდნენ... არაჩვეულებრივად მღეროდნენ ჯანსუღი და სხვებიც, აიყოლიეს აკაკი, აკაკის დიდი ცხვირი ჰქონდა და სიმღერა-სიმღერაში ლევანმა უთხრა, აკაკი, შენ პიროვნებაზე უფრო მეტად ცხვიროვნება ხარო...

ვორკუტიდან და ინტაიდან დაბრუნებულე ბი თბილისში მართავდნენ სერობებს, სადაც უამრავი — ასამდე ადამიანი მიიწვია იყრიდა თავს.

არმაზი მისი გეგმით იყო აშენებული, ბალიც სხვანაირი, ორიგინალური ჰქონდა, სახლს მდინარე ჩამოუდოდა, ნავიც იყო. არმაზში, ტყეში ბიბლიოთეკის გამოქრა უნდოდა, წყაროსთან ნუშის დარგვაზე ოცნებობდა, ნუშის წყარო უნდა დაერქვათ, ამბობდა... არმაზის სასაფლაოზე გასეირნება უყვარდა. ერთხელ რეზო ჭეიშვილი და მე არმაზის სასაფლაოზე, პიტიახშების სამარხებთან წაგვიყვანა, იქ იყო მოხუცებული დარაჯი - ზალიკო ქიქოძის მამა. იმან ყველაფერი აგვისხნა, სად რა სამარხი იყო...

ჭურჭები, აბანო გვაჩვენა... სერაფიმას საფლავის ქვაყუთი გვაჩვენა...

ლევანმა საქართველოს თითოეული გოჯი იცოდა, ყველაფერში სილამაზეს ხედავდა. არ დასცალდა, თავს არ მოუარა, დიაბეტი ჰქონდა. არც ისე ხნიერი იყო, 70 წლისაც არ იყო, რომ ინსულტით გარდაიცვალა... დაგვირეკეს და რომ მივედით, მამაჩემმა თქვა, არავითარი იმედი აღარ არისო. საშინლად იყო დამწუხრებული...

კიდევ რას გაიხსენებთ ლევან გოთუასთან ურთიერთობიდან?

არაჩვეულებრივი მიძღვნილი ჰქონდა... „სარკის მერცხალა“ - წერილი, რომელიც ახალგაზრდა მწერლებს მიუძღვნა, მე დავანერინე. ვურჩიე, წიგნზე საკუთარი აზრი გამოეთქვა. ყოველთვის მეტაფორულად წერდა. არის წიგნები, რომლებსაც სალაშქრო ჩექმებივით არა აქვთ სახე. უცხვირიპირო მუწვი წიგნები არიან, ყველა ერთმანეთს ჰგავსო... „უნიჭობაში ყოველთვის უფრო არის მსგავსება“...

ტყის გადარჩენაზე რამდენს ზრუნავდა. ბუნების დიდი ქომაგი იყო... „ნისლი ნახატარის ტყეში“, „მგზავრული კრილოსანი“ ამის დასტურია... დღეს რომ ბატონი ლევანი ცოცხალი იყოს, გადაირეოდა. შეესივნენ რაჭას, გურიას, სვანეთს, უნიკალური ტყეები გაჩეხეს, თურქეთში და სადა აღარ გაიტანეს. იმიტირო არის სვანეთსა და აჭარაში ამდენი მეწყერი.

დიდი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე მისი ნათესავი იყო, იაშას ეძახდა. ერთხელ იმ კურორტზე მიამბო, რომელიც იაკობს შეემთხვა. იაკობს მარმარილოს მასალა არ ჰყოფნდა, ამიტომ კურორტის სასაფლაოზე მიდიოდა ხოლმე დიდი შავი ჩანთით და მონარჩენი მარმარილოები მოჰქონდა, რომელთაც პატარა ფორმებისთვის იყენებდა. მოგესხნებოდა, როგორი მძიმე იქნებოდა ასეთი ჩანთის ტარება. ერთხელაც შეუსვენია და ჩანთა დაუდგია. ვიღაც უცნობს ვითომ შემთხვევით ჩანთისთვის ფეხი წამოუკრავს... ასე იცოდნენ ქურდებმა, წამოჰკრავდნენ ფეხს, წინ გაიგდებდნენ ჩანთას, რომ გაეტაცათო... წარმოიდგინე, მარმარილოს რომ ფეხს ამოარტყამ... ტკივილისგან ყვირილი დაუნყია ქურდს და დაცემულა. იაკობს შესცოდებია, აუყენებია ქურდი, უპატიებია...

„მითრიდატეზე“ მუშაობის დროს ლევან გოთუას მწერლებთან ერთად ყირიმში იმოგზაურა... თქვენც ახლდით ამ მოგზაურობაში...

ვიმოგზაურეთ გემით რუმინეთსა და ბულგარეთში. მანამდე - ბათუმიდან ოდესაში... სერსონაში ტაქსით წაგვიყვანა. მთელი დღე დავყავით იქ. დავგათვლიერებინა, ყველაფერი აგვისხნა. აღფრთოვანებული იყო. მითრიდატეს ლაშქარს ვხედავო, - ამბობდა. მერე შემომჩვილა, მინდა ყველაფერი მოვიხანჯო, რაც კი მითრიდატეს უკავშირდება, თუნდაც საბერძნეთში, მაგრამ ეს მთავრობა არსად მიშვესო...

დალუპვამდე რამდენიმე დღით ადრე დამირეკა, დავით გარეჯაში ვაპირებ ნასვლას და ძალიან მინდა, წამოყვებო. მე ვუთხარი, ტანსაცმელი არ მაქვს-მეთქი, ჩემს ტანსაცმელს, ბათინებს - ყველაფერს გამოგინახავ, თავად გაარჩევიანო... რატომღაც ვერ წავედი და ვნანობ, რომ ბატონ ლევანს გული დაუნყვიტე.

მამისგან გეცოდინებოდა, როგორ იწერებოდა ვორკუტაში „გმირთა ვარამი“...

მორებით გამოტანილ ხელნაწერებს თამარ ჯაფარიძე მანქანაზე ბეჭდავდა. სწორედ მანქანაზე ნაბეჭდი ლურჯ ყდაში ჩასმული ჩამოვიდა სამშობლოში. საოცარი და ენერჯიული ქალი იყო... მთავარ ინჟინრად მუშაობდა მალაროში და თავისუფლად დადიოდა, ქართველებს ესმარებოდა... ლევანი რომ მორიგეობდა, ეტყობა, იქ ტელეფონი იყო, თამარმა დაარეკინა მამადამითან და ლევანი დაელაპარაკა. ლევანი გადარიდა, ვორკუტაში ქართველი ქალის ხმა მესმის... ამას რას მოვესწარიო.

იმ დიდი სამომადინ აღარავინ არის დარჩენილი.

მუდამ ლიტერატურული პროცესების შუაგულში ტრიალებდით... 1972 წლიდან დღემდე შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერი მუშაკი ხართ...

არ მომწონს, რომ მწერლობა ცალკეულ ჯგუფებად დაიყო... გაუქმებულია „მნათობი“, „ცისკარიც“ სულს ლაფავს... ჯილდოებზე არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდ სიტყვა - ერთმანეთს

ავჯილდოებს ეს ხალხი, 4-ჯერ, 5-ჯერ... და არის ერთი ამბავი, ძალიან სკეპტიკურად ვარ იმათ მიმართ განწყობილი.

არც მოძალებული თავისუფალი ლექსი მომწონს, რომელიც უნიჭობის თავშესაფრად იქცა. ერთხელ მოვიცილი, ალბათ, და დავბეჭდავ ამაზე წერილს. თავისუფალ ლექსს უდიდესი გემოვნება და გამოცდილება უნდა. მავანთ კი გაიოლოეს გზა...

ერთ ჟურნალში ვნახე, 4 გვერდი მხოლოდ ძახილის ნიშნებს ეთმობოდა. ჩემი ტექსტით, ავტორი წერდა. ნეტავი, სასვენი ნიშნები ტექსტი როდის გახდა? მეტი დაფიქრება, სერიოზულობა და მეტი ნაკითხობაც არ აწყენდათ ზოგიერთებს.

მწერალთა კავშირიც ვერ მუშაობს... იქნებ, 30-მდე ახალგაზრდა შეიკრას ბირთვად. რაღაც ითავონ, გემოვნებიანმა და განათლებულმა ხალხმა ერთმანეთი მოძებნოს. მაინცდამაინც მომავალი მთლად კარგ ფერებში არ მესახება, თვითონ საქართველოც განახევრებულია, შთაბეჭდილება მრჩება, ხელისუფლებასაც არ ანალღლებს, რომ ლიტერატურამ წამოიწიოს. ჟურნალი „კრიტიკა“ წელიწადში მხოლოდ ერთი ნომერი რომ გამოვა, განა ეს შეიძლება? 6 ნომერი მაინც უნდა გამოვიდეს...

მრავალი წერილის ავტორი ხართ... „სხვა საუკუნე გალაკტიონი“ მრავალმხრივ საყურადღებო ესეისტური გამოკვლევაა. ეს არის მწერლის დაწერილი წერილი გენიალურ პოეტზე... და მაინც, რომელ პოეტს გამოარჩევთ?

ქართულ პოეზიაში ჩემი საყვარელი ლექსია გიორგი ლეონიძის „ოლე“. წერილიც დავწერე, იქ საქართველოზე უზარმაზარი ნუსხილია, ლიახვის პირას მდგარი ოლე დამწუხრებულია, რადგან წართმეულია ყველაფერი. ეს ტრაგედია ამ ლექსში გადმოცემულია...

გალაკტიონი მიყვარს. მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი კრებული, მას რომ შეეფერება, ვერ კიდევ არ გამოცემულა... რამდენიმე კაცის ერთად დაჯდომა და შეჯერება უნდა. არც გიორგი ლეონიძის სრულყოფილი რვეული გამოცემულა... გიორგი ლეონიძის გაფართოებული მინიატიურული გამოცემა მალე გამოვა და „მევირალობა“ ერქმევა. შევეცადე, მისი ლირიკა რაც შეიძლება კარგად წარმოგვეჩინა ყოფილიყო. მიყვარს ხალხური პოეზიაც...

თქვენთან შემოსვლისას ფისო შემომგება, ეტყობა, ცხოველები გიყვართ... ფისოს რა ჰქვია?

ბუბუ, ბუბუსია... ფისოებზე უზარმაზარი ჩანაწერები მაქვს. ერთი დამელუპა, მუნაწი ერქვა და შავს ნიშნავს. 9 წლის მომიკვდა, საავადმყოფოში ვიყავი და თურმე 10 დღე არაფერი ჭამა, რომ მოვედი, გარდაიცვალა. ეს ფისო კი რძალმა მომიყვანა, 500 დოლარია გადახდილი.

70 რვეული მაქვს, ფისოებზე უამრავი ლექსი და ჩანაწერია. თუ ოდესმე შეგკრიბებ, ძალიან საყურადღებო წიგნი გამოვა.



ფისო ბუბუსია

ამას წინათ, ბაჭია - ნიო-ნიო დაელუპა ჩემს მეგობარს და ელვგია დავწერე.

ლექსების 20-მდე კრებულის ავტორი ხართ... ლექსების წერა როდის დაიწყეთ?

ბავშვობაში დავიწყე, მაგრამ ძალიან სუსტი ვიყავი. ერთხელაც პიონერთა სასახლეში მივედი, დათო წერედიანმა გამოიყოლა. იქ არაჩვეულებრივი ქალბატონი ქეთევან ანანიაშვილი დამხვდა, თავიდან ლექსების წერის მხოლოდ სურვილი მქონდა... 16 წლისა უკვე, ასე ვთქვათ, გონზე მოვედი... თუმცა საკუთარი თავის მიმართ დღესაც კრიტიკული ვარ...

შარშან გამოვეცი წიგნი - „წელიწადის დროთა ტყეობაში“, მანამდე - „შემოდგომის ხიზანი“. ახლა გამოდის ჩემი ლექსების მინიატიურული წიგნი, რომელიც გოგი წერეთელმა გააფორმა.

სამომავლოდ...

ახლა მე ჩემი დღიურების ორ წიგნად გამოცემა მინდა. გამოცემულობა „ბაკი“ უფასოდ მიბეჭდავს ხოლმე. ზაფხულისთვის მინდა, რომ ავანყო და ჩავაბარო. რჩეულის გამოცემა მინდა, ოღონდ აუცილებლად 1000 ლექსი უნდა იყოს და სუსტი - არცერთი... ასეთი ჩანაწერი მაქვს. ეს მთლად ილუზია არ არის, ამას რეალური საფუძველი აქვს.

თაბარ შანიშვილი

სიტყვა მეგობარზე

სიმაღლე სულისა

ძველი სიბრძნეა, რომ ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან ადამიანები. თუმცა სიბერეც არის და სიბერეც. ბევრი უბრძოლველად ადრევე ბერდება, ბევრიც, რასაკვირველია, ჭეშმარიტ მამულიშვილებზე ლაპარაკი, სულით ისევე ახალგაზრდა რჩება თავის წელთსიმრავლეში, თუმცა თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ქვეყნის კეთილდღეობისთვის შრომასა და ბრძოლაში აქვს გატარებული. სწორედაც ასეთ ჭეშმარიტ მამულიშვილთა არცთუ დიდად მრავალრიცხოვან ლაშქარს მისათვლელია უთუოდ დიდად ღვაწლმოსილი მეოცნაურკუნელი, კაცობაში ჩაუჭრელი, მთელ გრძელ საუკუნეზე 15 წლით უმრავლესი ანზორ ბურჯანაძე, რომლის ფიზიკური და სულიერი სიმაღლე ერთმანეთის თანაბარია. სწორედ ამ ხანმრავალ, მაგრამ სულითაც და გულითაც ისევე ახალგაზრდა მეგობარზე წერს თავის ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ეტიუდს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სიმართლისთვის მუდამ ხმალამოდებული, სვანური მურყვამივით შეუვალელი ბრიშა ონიანი, რომლის გულწრფელ მეგობრულ სიტყვებს ასევე მთელი გულწრფელობითა და პატივისცემით უერთდება „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ.

გაგიმარჯოთ, ბატონო ანზორ! საუკუნემდე დარჩენილი 15 წელიწადიც ასეთივე სულიერი სიმაღლით გველოთ!

„ისტორია შემთხვევითობის სამეფოა, მისი მეფე კი კანონზომიერებაა“.

ეს ფართო დცნობილი და ბოლომდე აუსხნელი ფენომენი ბევრსაიდუმლოებას და ნაცარგადაყრილ სიმართლეს ახდის ფარდას ადრე თუ გვიან და, ვინ იცის, როდის აისხნება და ბოლომდე დაზუსტდება იმ ეპოქის ავი და კარგი, რასაც ჩვენმა თაობამ თავისი ძალა, ენერჯია და ცოდნა დაუზოგავად შესწირა.

ანზორ ბურჯანაძე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პარტიული და სამეურნეო ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელია, მისი სიღარბაისლე, მოზომილი სიტყვა, ღრმაშინაარსიანი აზროვნება, შინაგანი ენერჯია და გოლიათური აღნაგობა იმის შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ ეს კაცი უპირველესად ძლიერ ოჯახშია აღზრდილი და შემდეგ ძლიერი ქვეყნის ძლიერი მშენებელია. თუ ვინმე დაინტერესდება, რა ხელმა დააშრო ათასწლეულებით ცნობილი კოლხეთის ჭაობი? სწორედ ისეთმა ადამიანებმა, როგორიც ანზორ ბურჯანაძეა; ვინ ააშენა სამკოროს სარწყავი სისტემა? სწორედ ისეთმა კაცებმა, როგორიც ბატონი ანზორია; ვინ შექმნა ქართული განტები: რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები? ვინ აღმართა ევროპაში სიმაღლით მეორე კაშხალი ენგურზე და ვინ შექმნა 300-ათასიან ქალაქში მეორე უნიკალური მინისქვეშა ქალაქი? ანზორ ბურჯანაძის ძებნა და მეგობრება, რომელთა მკერდზეც კიაფობდა უმაღლესი ხარისხის ობიექტები და მედლები ამ ადამიანთა გმირული შრომის აღსანიშნავად.

ვინ დათვალოს რამდენი ზვარი და ხეხილის ბაღი დახუნძლულა მუყაითი შრომისა და გარჯის შედეგად, რომლის თავი და თავი ყოველთვის პარტიის რაიონული კომიტეტი იყო სამეურნეო მუშაკებთან ერთად!

ბატონი ანზორ ბურჯანაძე დღესაც რაიკომის მდივნის სახელწოდებასთან ასოცირდება და საზოგადოება თანდათან რწმუნდება დროისა და გარემოს შესაფერისად იყო თუ არა საქირო ისეთი რაიკომის მდივანი, როგორიც ანზორ ბურჯანაძეა.

ანზორ ბურჯანაძე არასოდეს არ ყოფილა ორთოდოქსი კომუნისტი, ის, სადაც უნდა ყოფილიყო, უწინარესად ქართველი პატრიოტი იყო, იგი პირველი გამოცხადებულა ეროვნულ მოძრაობას და არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი და ღრმაშინაარსიანი წინადადება დააყენა იმჟამინდელი ხელისუფლების წინაშე ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად ხვედრედიანი გარდაქმნის თაობაზე, რის უფლებებელყოფამაც დალუპა ქვეყანაში როგორც ეროვნული მოძრაობა, ისე ქვეყნის განვითარების პერს-



პექტივა მრავალი წლის განმავლობაში. მოყვრის მოძულეთ („მოყვრის მგობრი მტრის არცნობი“). ილია ჭავჭავაძე ბევრი რამით შეუშალეს ქვეყნის განვითარებას ხელი, ახალ-ახალმა ხელისუფლებმა ნაგავზე მოისროლეს ხელედაუკოყრილი და ოფლით შუბლდაღარული ქვეყნის მშენებელი ადამიანები, რაც ძალზე ძვირად დაუჯდა როგორც მოსახლეობას, ისე მთლიანად ქვეყანას. მაგრამ ამით ბატონი ანზორი არ გაბოროტებულა, ის ყოველთვის მხარში ედგა ქვეყანას და ხალხის საქმეს და ყოველთვის ახარებდა და დღესაც ახარებს ქვეყნის მცირედი წარმატებაც კი.

ბატონო ანზორ! შენ მეგობრობის მეფე იყავი და მეფე ხარ დღესაც, აკი ამიტომაც ხშირად შემოგახებთ ხოლმე შენი ქალიშვილის სადღეგრძელოზე:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა და სული“.

დღესაც საგნა შენი ოჯახი სიბრძნით, კაცობით, გამბედაობითა და ქართველი დედის უებრო სიყვარულით. „ბედნიერ ერს“ (ილია) უკეთესად არ შეუძლია შეიყვაროს და დააფასოს თავისი რჩეული ადამიანები, ვიდრე შენ უყვარხარ და გაფასებენ.

დიდი ვაჟა-ფშაველა სინანულით წერდა:

„თუ ვერ ვიგუეთ, ვერ შევიფერეთ, კარგი ვიღებო რად გვებადება?“ ქვეყნის შემდგომი წინსვლის გზა შემდგენიერად არის გამოთქმული ქართულ ანდაზაში:

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.


ამაზე ხომ დიდ კონსტანტინეს დიდებულად აქვს პასუხი გაცემული თავის გენიალურ „დიდოსტატის მარჯვენაში“. ბატონო ანზორ, მე შენი ერთი საყვარელი სტროფი ყველაზე მეტად მომწონს, რომელსაც ხშირად იმეორებ ვაჟას შემოქმედებიდან:

„გუშინწი გნახე, გუშინაც, გველი სწამლავდა იასა, აშლიდა შხამსა და გესლსა, ვერ კი აძლევდა ზიანსა“.

მე კიდევ ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი და სათქმელი, მაგრამ ცოტა რამ ხომ უნდა შემოვიხანხო 100 წლის იუბილეზე სათქმელად და დასაწერად.

შენი ძმა ბრიშა ონიანი, 9, III, 2018 წ.

წყალბურთი



უარესს ვერს ვინატრებდით

საძარბაზო წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები რევანზს იმისთვის თვალსაზრისით წაუღებს...

კატალონიის დედაქალაქში გამართულმა კონტინენტის 33-ე პირველობის დასკვნითი რაუნდის კენჭისყრამ „ჯვაროსნები“ სიკვდილის ჯგუფში გაამწყსა...

„ბ“ ჯგუფი: მონტენეგრო, მალტა, საფრანგეთი, ესპანეთი.

„გ“ ჯგუფი: ხორვატეთი, თურქეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი;

„დ“ ჯგუფი: რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი.

კობა კობახიძე

ტაკლო



კალათბურთი. ევროლიგის XXV ტური. „ვალენსია“ – „ბასკონია“ 71:81. სტუმართა კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ პარტიკულარულად 7 ქულა შეაშველა.

XXV ტური. ევროპა ლიგის პირველი მერვედფინალური რაუნდი. „ატლეტიკო“ – „ლოკომოტივი“ 3:0 (რკინიგზელთა ქართველმა ლეგიონერმა საბა კვიციანიამ შეუტყველვად ითამაშა)...

გიორგი შოთაძე

ანი ბინც

ეს ქალიან კარგი საქმეა

ბეპრი არ მიფიქრია, თუ როგორ დამეწყოს ეს სტატია. იმ წამს სულმნათი ვაჟა ფშაველას სიტყვები გამახსენდა. „თუ ერთი თავის შვილებს ღირსეულად აფასებს, მე ეს განთიადის დასაწყისად მიმაჩნია“.

მე ქალიან ბეპრი მიფიქრია ამ თემაზე და ახლა გადავწყვიტე ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოემეტანა ჩემი ნაზრები. მოდი, ვიმსჯელოთ.

მიზანშეწონილი იქნებოდა თბილისის სპორტის სასახლის წინ ქართული სპორტის კორიფეების (პირველ რიგში სპორტის სათამაშო სახეობებს ვგულისხმობ: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი ცალკე მსჯელობის საგანია) ვარსკვლავის გახსნა.

თბილისის სპორტის სასახლის წინ უნდა გაიხსნას ლეგენდარული ქართველი კალათბურთელების ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას ვარსკვლავი.

ოთარ ქორქია იყო ევროპის სამგზის ჩემპიონი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

ნოდარ ჯორჯიკია იყო ევროპის ჩემპიონი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის მფლობელი.

მერე, რა თქმა უნდა, მოდიან განუმეორებელი ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია. ზურაბ საკანდელიძე გახლავთ ერთადერთი ქართველი კალათბურთელი, რომელიც ყველა უმაღლესი ფილდოს მფლობელია: ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, მიხეილ ქორქია კი არის ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

1962 წელს თბილისის „დინამოს“ ტრიუმფში ევროპის ჩემპიონთა თასზე ლომის წილი მიუძღვის სწორუპოვარ გუნდის კაპიტან გურამ მინაშვილს.

ამ თანაგვარსკვლავების ღირსეული წარმომადგენელია ქუთაისის საკალათბურთო სკოლის კიდევ ერთი აღზრდილი ნიკოლოზ დერიუგინი.

რა თქმა უნდა, თავისი ვარსკვლავი უნდა ჰქონდეს, და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, NBA-ს პირველ ქართველ ჩემპიონს ზაზა ფაჩულიას.

ფსევებით ქართულ კალათბურთთანა დაკავშირებული სერგეი კოვალენკო. მან დიდი წვლილი შეიტანა უმაღლეს ლიგაში თბილისის „ბურევესტიკის“ აღზევების და დატოვების საქმეში.

ინტერნეტიდან

ფასოვანმა წვერებმა. სიძვის დიაცნი იმ კლიენტებს, რომლებსაც „იუვენტუსის“ შავ-თეთრი მაისური აცვიათ, ნახევარ ფასად ემსახურებიან და თან „შუა იმ საქმის დროს“ ტრიუმფის დეტალებსაც აყოლებენ.

სხვათა შორის იტალიელ კახათა ეს საქციელი პირველი არ გახლავთ და მსგავსი დიდსულოვნება „ლამის პუკლებს“ ევროპის სხვა ბევრ ქალაქშიც გამოუმულავნებიათ.

როსტომ რაჭველიშვილი

ვარსკვლავებით მოჭედილი ქართული კალათბურთის ცაზე ის გამორჩეული ფიგურა იყო. ჰაეროვანი თამაშით მოხიბლულმა სპეციალისტებმა და გულმემატკივრებმა მას „პტიცა“ შეარქვეს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართული ხელბურთის ოქროს ხანა იდგა და ეს ბრწყინვალე პერიოდი, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი იქნებოდა ხელბურთის პელებს ჯემალ ცერცვაძის გარეშე.

ჯემალ ცერცვაძე, ალბათ, ასეთი ბრწყინვალე არ იქნებოდა მისი განუყრელი პარტნიორის თამაზ (ფარჩო) ანთაძის გარეშე.

ქართული ხელბურთის კავშირით ვარსკვლავთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურაა ალექსანდრე ანბილოვი.

60-იან წლებში ქართული ხელბურთის აღზევებაში ლომის წილი მიუძღვის ჩინებულ მწვრთნელს გიორგი შარაშიძეს.

გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო ოთხჯერ – პრიზიორი. მანვე აღზარდა ქართველ ხელბურთელთა ახალი თაობა.

ქართულ ფრენბურთს, რა თქმა უნდა, ისეთი მდიდარი ტრადიციები არა აქვს და ისეთი დიდი გამარჯვებებით ვერ დაიკვებინა, როგორც ქართული კალათბურთი და ხელბურთი, მაგრამ ქართველებს აქაც შეგვიძლია დავიტრახაბოთ.

ქართულ ფრენბურთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილი მწვრთნელის გივი ახვლედიანის პირველი ნაბიჯებიც.

რა თქმა უნდა, ეს სია საბოლოო არაა და ქართული საზოგადოება შეიძლება კიდევ შეჯერდეს მასზე, მაგრამ მოდი, ჯერ ამით დაიწყეთ და შემდეგ განახოთ.

ალბათ, მკითხველი იკითხავს, იდეა უფკველად კარგია და მხარდასაჭერი, მაგრამ ვინ განახორციელებს მას? აი, ეს არის მთავარი, აი, ამას უნდა მოფიქრება.

რა თქმა უნდა, სასურველი იქნება სათანადო პატივი მივაგოთ სპორტის სხვა სახეობათა ვარსკვლავებსაც – ამას კარგად მოფიქრება უნდა.

მერაბ კალანდიაძე

მეკავებამს აღნიშნას

ცამოქმედრულ ლონდონში ადგილობრივ „ტოტენჰემთან“ ჩემპიონთა ლიგაში ტურინის „იუვენტუსის“ სახელოვანმა გამარჯვებამ – 2:1 რა გასაკვირია, რომ პიემონტელ ტიფოზებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

საყვარელი გუნდის წარმატება სათანადოდ დააფასეს და აღნიშნეს იქაური სამეძავო გილდიის სრულ-



წარსულის გამოცანები

„მოძველის ლამაზმანი“

80-19 საუკუნეში ეგვიპტის ცნობილ მეფეთა ველზე ნაპოვნი მუშია, თურმე ძალიან ჰგავს ლეგენდარულ დედოფალ ნეფერტიტს.



ძველეგვიპტური ნაპოვნის რეკონსტრუქცია დიდი ბრიტანეთის ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეასრულეს, რომლებმაც მას თავის დროზე „ახალ-გაზრდა ქალბატონი“ (young lady) უწოდეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სწორედ ეს არტეფაქტია დედოფალ ნეფერტიტის ქეშ-მარიტი გამოსახულება. ამ რწმენის მიზეზი კი ისაა, რომ მისი რეკონსტრუქციული გამოსახულება ძალიან ჰგავს 1912 წელს აღმოჩენილ საქვეყნოდ ცნობილ ბიუსტს.

„ზე“ ჰქონდა გადახორცილი, რაც პარიკის, ანდა ნეფერტიტი რომ ატარებდა, ისეთი მუზარადის სატარებლად იყო მოსახერხებელი. ამასთან მას შუბლზე საგანგებო ტყავის ქამრის ანაბეჭდიც ემჩნეოდა. მარცხენა ყურის ბიბილოში კი ორი საყურეა შემორჩენილი, რომლებიც „სილამაზის ეტალონის“ ზოგიერთ პორტრეტზე გამოსახულს ჰგავს. სწორედ ამ „ახალ-გაზრდა ქალბატონის“ იერსახე აღადგინეს ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. არადა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის მუშია, რომელიც რეკონსტრუქციის საფუძველი გახდა, სინამდვილეში მართლაც ნეფერტიტია, თუმცა კი გარკვეული მსგავსება ნამდვილად არის. მეტ-ნაკლები ალბათობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ახალგაზრდა ქალბატონი“ მართლაც სამეფო ოჯახის წევრი იყო და XVIII დინასტიის მმართველობის დროს დაიღუპა. ამ აზრზეა „მთავარი ეგვიპტოლოგი“ ზანი ჰავასი, ეგვიპტის სიძველეთა უზენაესი საბჭოს ყოფილი გენერალური მდივანი. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ახალგაზრდა ქალბატონი“ 16-20 წლის ასაკისა უნდა ყოფილიყო, ნეფერტიტი კი მეტი ხანი იცოცხლა.

ნეფერტიტი, რაც ძველეგვიპტურიდან სიტყვასიტყვით „მოძველის ლამაზმანს“ ანდა „ტურფა მობრძანდას“ ნიშნავს, დაახლოებით 3300 წლის წინათ ცხოვრობდა, იგი ფარაონ ეჰნატონის (ამენჰოტეპ IV-ის) თანამეცხვრე იყო, ანუ სულ მცირე ფარაონ ტუტანჰამონის დედინაცვალი, ანდა, სულაც, შესაძლოა დედაც იყო. იგი ჩვენამდე 1334 წელს, ანუ მაშინ გარდაიცვალა, როცა 29-დან 38 წლამდე ასაკისა იყო, რის შემდეგ მისი ცხედარი მუმიფიცირდა. იმ ხანებში უმაღლესი რანგის პირებს ასე ერგებოდათ, მაგრამ ცხედარი უკვალოდ გაქრა.

1898 წელს ფრანგმა არქეოლოგმა ვიქტორ ლორემ, რომელიც მეფეთა ველში გათხრებს ანარმოებდა, ფარაონ ეჰნატონის სამარხი გახსნა და გვერდითა აკლამაში შეაღწია. იქ მან ერთმანეთს გვერდგვერდ მწოლიარე სამი მუშია აღმოაჩინა — ორი ქალისა და შუაში მამაკაცის. ქალეზიდან ერთ-ერთი უფრო ახალგაზრდა გარდაცვლილა და მას „ახალგაზრდა ქალბატონი“ უწოდეს. ასი წლის მანძილზე ნაპოვნი მუშიები დიდად არავის აინტერესებდა. ჰიპოთეზა, რომ მათში ერთ-ერთი შესაძლოა, ნეფერტიტი იყოს, მხოლოდ 21-ე საუკუნეში წარმოიშვა. ამიტომ მათ რენტგენი ჩაუტარეს, რის შედეგადაც დასკვნებს, რომ „ახალგაზრდა ქალბატონი“ ანატომიურად — განსაკუთრებით კისრითა და მხრებით — ულამაზეს დედოფალს ესადაგება. თანაც მუშიას თავი „ნულ-

„ახალგაზრდა ქალბატონი“ კაიროში ინახება, სადაც მას სკანირება ჩაუტარეს, რის საფუძველზეც სახის რეკონსტრუქცია მოახდინეს. მერე მუზარადი დაახურეს და ნეფერტიტის ცნობილ ბიუსტს რომ ამშვენებს, იმის მსგავსი ყელსაბამი გაუკეთეს. „მეორე ნეფერტიტი“ პირველზე რამდენადმე უხემი გამოვიდა, მაგრამ ხალხს მაინც მოეწონა, ოღონდ ეგაა, რომ კანის ფერი დაუწუნეს, რომელიც ზედმეტად ღიად მიიჩნიეს. თუმცა კი ნეფერტიტს სინამდვილეში რა ფერის კანი ჰქონდა, ეს დანამდვილებით, ცხადია, არავინ იცის.

როგორც არ უნდა იყოს, „ახალგაზრდა ქალბატონი“, ალბათ, ნეფერტიტი არ არის, თუმცა კი მსგავსება მაინც შესამჩნევია.

მომზადდა ნინო ალექსანდრიამ

სანთელი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2018 წლის 6 მარტს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა გეოფიზიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. მერაბ ალექსიძისა და მიხეილ ნოდის სახელობის პრემიების ლაურეატი, თსუ-ს მედიის მფლობელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ავთანდილ კორძაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 10 III, 14 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, მე-16 კორპუსი, მე-7 სართული.

ვიტალი ხაზარაძე, მურთაზ უგულავა, დავით წერეთელი ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, საუკეთესო თვისებებით გამოირჩეული ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი მეცნიერის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

ავთანდილ ალექსანდრეს ძე კორძაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მთელ საქირისუფლოს.

ბუნებრივი აირით რუსთაველი ოთხი ალაშიანი მოინახლა

ბუნებრივი აირის ნაწილით საცხოვრებელ ბინაში ოთხი ადამიანი მოინახლა რუსთაველი. შემთხვევა გვიან ღამით თოდრიას პირველ ჩინში მოხდა. მოინახლეებიდან ორი — 10 და 11 წლის ბავშვები არიან. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ბავშვები რუსთაველის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანა, მშობლები კი, ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში. როგორც სამედიცინო დაწესებულებებში აცხადებენ, ინტოქსიკაცია ძლიერი არ იყო, პაციენტებს შესაბამისი დახმარება გაენიათ და დილით სახლში გაწერეს. ბუნებრივი აირის ნაწილით ინტოქსიკაციის მიზეზი გაუმართავი გამათბობელი იყო.

მეცნიერული საზიარო

როდის გაჩნდა სინათლის პირველი სხივი?!

ასტრონომებმა პირველი ვარსკვლავების შექმნის დროინდელი სიგნალი დაიჭირეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ჩვენი სამყაროს წარმოშობის პერიოდისაა, დიდი აფეთქებიდან დაახლოებით 180 მილიონ წლის შემდეგ. აღმოჩენის თაობაზე მომზადებული კვლევა სამეცნიერო ჟურნალმა „ნეიჩერ“ 28 თებერვალს გამოაქვეყნა.



„ეს სამყაროზე ნებისმიერი დაკვირვების ყველაზე ადრინდელი ნიმუშია. ჰაბლს (ტელესკოპს) რომ შევადაროთ, მისი საშუალებებით ვაკვირდებით პირველ გალაქტიკებს, რომლებიც სულ ნახევარი ასაკის, 400 მილიონი წლისაა“, აღნიშნავს კვლევის ხელმძღვანელი არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოსმოლოგი ჯად ბოუმანი. მისი ჯგუფი ციდან მომავალ ხმებს რადიოტელესკოპებით თითქმის 20 წელიწადია, უსმენს. ასტრონომ რიჩარდ ელისის აზრით, რომელიც კვლევაში არ მონაწილეობდა, ეს სიგნალი შესაძლოა, დიდ აფეთქებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, რადგან, „ჩვენც ვარსკვლავების ელემენტებით ვართ შექმნილი, ასე რომ, თვალს საკუთარ წარმომავლობას ვაკვებთ“.

იმის ნიშანია, რომ პირველი ვარსკვლავების და გალაქტიკების შექმნის დროს, ტემპერატურა სამყაროში გაცილებით ცივი იყო, ვიდრე მათ წარმოედგინათ. კვლევას იმავე ჟურნალში დართული აქვს სხვა მეცნიერის რენან ბარკანას თელავივის უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსის ნაშრომი. მისი აზრით, სიგნალის მოულოდნელად დიდი ზომა ბნელი მატერიის, კოსმოსის ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი მოვლენის, გავლენას უკავშირდება.

მოვლენები უძლოდა წინ ვარსკვლავების წარმოქმნას, რა შეიძლება იყოს შავი სერეი, ბნელი მატერია და ასე შემდეგ. ასტროფიზიკოსები იმედოვნებენ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში უკეთ ეცოდინებათ, რა მოხდა სამყაროში 13.6 მილიარდი წლის წინათ, დიდი აფეთქების შემდეგ. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ცივ და ბნელ სამყაროში დიდი აფეთქების შედეგად, სინათლის პირველი სხივი გაჩნდა და სამყაროს ექსპონენციალური (თანდათან უფრო აჩქარებული) გაფართოება დაიწყო.

სულიერება

ჯვრის თაყვანისცემის კვირიკა



11 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულს ჯვრის თაყვანისცემას...

მმართველი მორწმუნეები განამტკიცეს სულიერად... მათ განამტკიცეს გახსენება უფლისა ნებისათვის...

იუანი - მსოფლიო ვალუტა



ჩინეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ჩოუ სიაჩუანმა განაცხადა...

საშუალებას, გამოვიყენოთ იუანი სავაჭრო და ინვესტიციის სახით. „რაც შეეხება სახელმწიფოს სამომავლო როლს და იუანის საერთაშორისო ვალუტას...

მილიონზე მეტი ადამიანი სინათლის გარეშე

ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მილიონზე მეტი ადამიანი სინათლის გარეშე დარჩა. ელექტროენერჯის მასიური გათიშვები მოხდა ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსის და მასაჩუსეტსის შტატებში...



აშშ-ში ავიაარსების უპრეცედენტო რაოდენობა გადაიდო, ზოგიერთ რეგიონში 60-სანტიმეტრიანი თოვლი მოვიდა...

ბარაკ და მიხელ ობამები სატელევიზიო შოუს წაიყვანენ

მედიანში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ობამა მოლაპარაკებებს აწარმოებს Netflix-თან საკუთარი სატელევიზიო შოუსთვის...



გადაცემის თემები შესაძლოა, იყოს ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც ობამა ყურადღებას უთმობდა პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში...

დედაუნივერსიტეტის იუბილე დედოფლისწყაროელთა იუბილე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნება დედოფლისწყაროელი მნიშვნელობის ანიჭება...



ნიმუხად წარმოგვქონილ ვიდეო-კოლაჟში გამოცხადდა თსუ-ს დამფუძნებლების ცნობილი სახეები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი...

პატიო მოქალაქე ცისანა მჭედლიშვილი. პროექტის იდეის ავტორი გახლავთ დედოფლისწყაროს მწოგნობართა ასოციაციის თანათამაჯდომარე...

გასასცინებელი ა(მ)ბები

სასამართლო მოსამართლე ეკითხება ქურდს, როგორ მოხდა, რომ სახლი გატეხე და ძვირფასეულობა წაიღე...

წინა გულისწყრომა

მამუკაშვილმა ხელფასი აიღო. მან აღმოაჩინა, რომ ბუღალტერი შეცდა და 30 ზლოტით მეტი მისცა...

ყველაფერი გენიალური მარტივია

მართ-მართ მიღებაზე ცნობილი მეცნიერი იქვე მაგიდასთან მჯდომ ახალგაზრდა მეზობელ ქალს ესაუბრება...

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772 233 385 001

ავტორთა სახურა დღეობა! რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დანიშნული ავტორთა ხარჯი...

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი ბაზითა, აუსილებლად წაიკითხე!

Table with subscription rates: უსხოვრი ვალუტის კურსი, აპრილი 10 მარტისთვის, დაბოვიკაპით, მოგვწერათ.